№ 196. 5 ოქტომბერი, ოთხშაბათი. 1866—1883 5 ოქტომბერი, ოთხშაბათი. № 196.

რედაქცია

სიონსიონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიკურ გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი

მთელის წლისა . . . 9 მან. სამის თვისა. . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . . 5 მან. ერთის თვისა. . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია ვერ დაუბ[რ]უნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთ

## „დროებაზედ"

პირველის ოკტომბრიდამ წლის დამლევამდე. ფასი სამი მანათი.

სოფლის მასწავლებლებისათვის ორი მანათი.

«დროების» ნომრები თითო შაურად იყიდება, თბილისს გარდა:

ქუთაისში, ჭილაძის მაღაზიაში,

ბათუმში, ფეიქაროვის თამბაქოს მაღაზიაში,

დუშეთში, გაბო ბაშაროვთან.

გორში, საზოგადოების დეპოში, ალალო თუთაევთან.

აქვე მიიღება ხელის-მოწერა.

## ტელეგრამები

«დროებისა».

4 ოქტომბერს.

ქარელი. დღეს, ღამის სამ საათზე, ქარელში ურიების უბანს ცეცხლი გაუჩნდა; დაიწვა დუქნები, სახლები, ეკლესიები; ცეცხლი კიდევ უკიდია; აღმოსავლეთის ქარი უქრის; ვრცლად მოგწერთ ხვალ.

სუფსა. ჩამოწოლილმა ზვავმა ციხისძირთან რკინის გზის ლიანდაგი ძალიან დააზიანა. სამტრედიასა და ბათუმს შუა მატარებლების სიარული შეჩერებულია და ჯერ არავინ იცის გზა ისევ როდის გაიხსნება.

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

3 ოქტომბერს.

ტაშკენტი. ექსპედიცია, რომელსაც შეადგენენ კაპიტანი პუტიატი, მთის ინჟენერი ივანოვი და ტოპოგრაფი ბენდერენსკი და რომელიც გაგზავნილია პამირის გამოსაკვლევად, მივიდა ალიჩურში და დიდს პამირში; გზაზე ოცის დღის განმავლობაში არც ერთი კაცი არ შეხვედრია; შემდეგ მურგაბი გაიარა და ყარათეჩინისკენ გაემგზავრა.

ლონდონი. პეხოიდამ იწერებიან, რომ ჩინეთის ადმირალი ოთხი პატარა საომარი გემით ლუნგ-მუნში, თონქინის საზღვარზე წავიდა, რათა გამოიყვანოს იქიდამ ჩინეთის ჯარები; ჩინელები ჰფიქრობენ თვის საზღვარზე ჯარები აღარ შეაგროვონ.

რუანი. მინისტრმა-პრეზიდენტმა ფერიმ წარმოსთქვა სიტყვა ბანკეტზე, რომელიც იმის პატივსაცემლად იყო გამართული, და ამ სიტყვაში აქო რესპუბლიკის პრეზიდენტის მოქმედება და სთქვა, რომ გრევი არასოდეს არ გადასულა მინიჭებულს უფლებას და დიდი ღირსება გამოიჩინა, როდესაც საჭიროებამ მოითხოვა უმეცარი ხროვის შეცდომა გაესწორებინა; ცხადია, რომ ფერის სიტყვა გამოწვეულია იმ ხმებით, რომელნიც დანიშნებით ამტკიცებდენ მის და გრევის შორის უთანხმოებას.

2 ოქტომბერს.

კრონშტადტი. დღეს, დილის რვა საათზე, იახტა «დერჟავით» მობძანდენ კოპენჰაგენიდგან ხელმწიფე იმპერატორი და იმპერატრიცა უავგუსტოესი შვილებითურთ. ნავთ-სადგურში მიეგებნენ მათს დიდებულებათა დიდნი მთავარნი ვლადიმირ ალექსანდრეს-ძე და მიხეილ ნიკოლოზის-ძე, სახლის მინისტრი და პორტის კომანდირი. შუადღისას მათი დიდებულებანი წაბძანდენ პეტერგოფში.

იარმოლინცი. ლეტიჩევის მაზრაში, დაბა ზივონკიში, ებრაელთა სინაგოგის საქალო განყოფილებაში, ლოცვის დროს, ვიღამაც დაიძახა: «ცეცხლი», — ამ დაძახებამ შიშის ზარი დასცა იქ მყოფთა და მისცვივდენ ყველანი კარებს; ამ დროს გაიჭყლიტა 40 კაცი და 30 დაიჭრა.

ვოშინგტონი. გაინანში გამოსცეს პროკლამაციები, რომელნიც აქეზებენ ჩინელებს, რათა ამოსწყვიტონ ევროპიელნი; ფუ-ჩა-უში ისეთი უწესოება მოხდა, რომ საფრანგეთის ელჩი იძულებული იქნა ჩარეულიყო.

თბილისი, 4 ოქტომბერს.

შემოდგომა დადგა; დამჭკნარი, გაყვითლებული ფოთოლი უხვად მოეფინა ტყეების ნიადაგს და ტყეებში ჩასაფრებულმა ხიზნებმაც მისცეს ცეცხლი გაცარცვილს ტყეს ახოების გასაკეთებლად. ღამ-ღამე ჩვენის სოფლებიდამ მშვენიერი სურათი მოჩანს, მუქთად გამართული ილუმინაცია მთის წვერებიდამ, სადაც ცეცხლი ერთის ბუჩქიდამ მეორეზედ გადადის, ერთს ხეს მეორესკენ აქცევს და ამ გვარად გზას უკვალავს მამულის გასაჩიჩქნად გამზადებულს ხიზანს.

ლამაზი სურათია იმათთვის, რომელთაც მხოლოდ სურათებით დატკბობა უყვართ, მაგრამ არაფრად სასიამოვნოა უფრო შორს გამჭვრეტელთათვის. არსად არა თქმულა ასე უწყალოდ, მოუფიქრებლად, მომავალზედ უზრუნველად ტყეების გაწყობა, როგორც ჩვენში. არავინა ჰფიქრობს: არც ხიზნები, არც თითონ მამულის პატრონები, არც მთავრობა, რა უთვალავი ზარალი მოაქვს ამ უგვანს მოქმედებას მთელის ჩვენის ქვეყნისათვის.

ამ პატარა შენიშვნაში ბევრს ლაპარაკს არ მივყვებით იმაზედ, თუ ტყის გაწყობას რა საშინელი და მრავალ გვარი ზარალი მოაქვს; ეს ზში-

«დროების» ფელეტონი, 1 ოქტომბ.

## ციცია *)

(მოთხრობა)

ასე გაატარეს მთელი ღამე და დილაზედ ყველანი დათენთილები ადგნენ; ყველას ეტყობოდა, რომ წარსულს ღამეს ძლიერი სულიერი ბრძოლა და მღელვარება გამოევლოთ.

ისინი შესხდენ ცხენებზედ და გასწიეს ჯარიახის მთის წვერებისკენ, სადაც სოფელი «არწია». მართლა არწივის ბუდესავით კლდეს მიჰკროდა და იქიდგან მედიდურად გადმოსცქეროდა გველივით დაკლაკნილს ბილიკს და აქაფებულ წყლის ჩანჩქერებს.

როდესაც სოფელს მიუახლოვდენ, შეხვდენ პატარა ბიჭებს, რომელთაც ახალუხზედ შემოეკრათ ქამარი და უეჭველად ან ხანჯალი, ან დამბაჩა წელთან გაგდებული ჰქონდათ. ზოგნი ცხვრებსა და თხებს მწყემსობდენ, ზოგნიც მეგობრებთან ჩამოსულიყვნენ დროს გასატარებლად. ამათ, რა წამს მგზავრებს თვალი შეჰკრეს, დაიწყეს იქითკენ ყურება და «ერთმანერთის შურას» ცდილობდენ თავიანთ შორს-მხედველობა გამოეჩინათ და მგზავრებს ხან ვის სახელსა სდებდენ, ხან ვისას.

*) იხ. «დროება» № 191.

— ეს აფზორა არის, — იძახდა ერთი.

— არა, ბიჭი, არა, ჩერ-ბიჟიანთ სოსლანა არის, — აწყვეტინებდა მეორე.

ისე გართულიყვნენ სტუმრების სახელის შეტყობის სურვილით, რომ მათდა შეუმჩნევლად, ერთი-ერთმანერთს წინ ურბენდენ და თან-და-თან მომავალთ უახლოვდებოდენ.

ბავშვებს უხაროდათ სტუმრების მოსვლა, რადგანაც სტუმართან ერთად სოფელში თითქმის ღლეობა დაიწყებოდა. მასპინძლისას თავს მოიყრიდენ ახალგაზდობა, ქალი თუ კაცი, ილხენდენ, ითამაშებდენ, იმხიარულებდენ! ღმერთო, რამდენი დროს გატარება და სიამოვნება მოელოდა ბავშვებს.

როდესაც მხედრები მოახლოვდენ, ერთმა თექვსმეტ-ჩვიდმეტის წლის ახალ-გაზდამ ერთბაშად წამოიძახა:

— სულთი ყოფილა! და გაქანდა მომავლებისაკენ.

იმას გაჰყვნენ დანარჩენები და რა მიუახლოვდებოდენ, ხელის მაღლა აღებით მიესალმებოდენ, მშვიდობას ეტყოდენ.

— გამარჯვება «ბორგი» *), გამარჯვება, — ღიმილით უპასუხებდა სულთი.

ბოლოს მიუბრუნდა ერთს ბალღს და ჰკითხა:

— ჯან-ჩორ შინ არის?

— ჰაი ჰაი, რომ შინ არის, — უპასუხა პატარა ბიჭმა და დაუმატა: ამ კვირია ჩვენი ხატობაა და არაყსა ჰხდის.

— მაშ კაი დროს მოვედით, ჩვენც დაგვალევინებს, — შეეხუმრა სულთი.

— დიალერ (ღმერთმანი) დაგალევინებთ! — უპასუხა პატარამ და საჩქაროდ დაუმატა: თქვენზედ უკეთესს ვის დაალევინებს?

ასე ლაპარაკით ავიდენ სოფელში, სადაც წინადვე მისულს ბალღებს სტუმრების მოსვლა კიდეც შეეტყობინებინათ და ჯან-ჩორის სახლთან რამდენიმე ყმაწვილი კაცი მოგროვილიყვნენ.

*) „ბორგ" ჩეჩნურად მგელია და ბალღებს არა იშვიათად ამ სიტყვებით ეალერსებენ.

მისვლის უმალ, ისინი მოეგებნენ, მოესალმნენ და უშველეს ცხენებიდგან ჩამოსვლა.

რაკი დედაკაცებმა გაიგეს, რომ ვილაცა ქალიც მოსულა, მაშინვე გამოეგებნენ და ციცია ქალების საწოლში წაიყვანეს.

ჯან-ჩორ მოხუცებული, მთლად გათეთრებული, სასიამოვნო სახის მოხუცი იყო. მოაზრებული და გამოცდილი, ყველასგან პატივცემული შექნილიყო და სადაც ჩეჩენში ძნელად გასათავებელი საქმე მოხდებოდა, სარჩევლად და საბჭეოდ ჯან-ჩორი უნდა ამოერჩიათ.

— ჩემი ბუხარი გაჩაღდა, ჭერმა გაიხარა, თქვენი სტუმრობა რომ გაიგო, — მიგებებით და მხიარულად დაიწყო ჯან-ჩორამ, რა მგზავრებს მიუახლოვდა.

— დიდი ხანია ჯან-ჩორას სახლი ყველასთვის საიმედო თავ-შესაფარია... ჩვენ ვამაყობთ, რომ შენისთანა მასპინძელი გვყავს.

რად გვითქვამს და გამეორებით ვაი თუ მკითხველებს თავი შევაწყინოთ. აქ ვაჩვენებთ მკითხველს მხოლოდ ერთს შედეგს ტყეების გაწყობისას, შედეგს, არა ჰაერში დახაზულ წრეებზედ დამყარებულს, არამედ დამყარებულს მეცნიერების უკანასკნელ ცნობებზედ.

ყველამ იცის, რომ სეტყვას დიდი ზარალი მოაქვს. ამ მოვლენის თავიდამ ასაცილებლად ჯერჯერობით არაფერი ღონისძიება არ არის გამოგონილი, გარდა ურთიერთ შორის დაზღვევისა. ამ გვარი დაზღვევა შემოღებულია, სხვათა შორის, საფრანგეთში, რადაც მზღვეველ საზოგადოებათა შემოუფარგლავთ თავიანთ მოქმედების მოედანი და უნდათ შეიტყონ—თუ სად უფრო სცემს სეტყვა, რომ ამის კვალობაზედ დანიშნონ საზღვევი ფასი. ამ პლანიდამ აღმოჩენილა, რომ უტყეო მხარეს უფრო სცემს სეტყვა, ვიდრე ტყიანს. ამის გარდა ზოგიერთ ალაგებში თურმე სრულიად არ იცოდა სეტყვა და ტყეების გაჩეხის შემდეგ კი გახშირდა და იმ მხარეს კი, სადაც ტყეები გააშენეს, სეტყვამ იკლო. შვეიცარიაშიაც საკვირველი დამოკიდებულება აღმოჩენილა ამ ორს მოვლენას შორის: ტყე თუ ხშირია, სეტყვა ძვირად მოდის, და თუ ტყე გაკაფულია, სეტყვაც გამუდმებული სტუმარი ჰხდება ამ მხრისა.

ჰაერის დამკვირვებელთ (მეტეოროლოგებს) შეუმჩნევიათ, რომ სეტყვის ღრუბელი ჩნდება უდაბურს, ხრიოკსა და ცხელს ალაგებში და თუ ამ ღრუბელმა პირ-და-პირ გადაუარა კარგად შემუშავებულს ყანებსა და ვენახებს, ეს უკანასკნელნი სეტყვას ძნელად გადაურჩებიან. მაგრამ თუ სეტყვის ღრუბელმა ტყეზედ გადმოიარა, მეტადრე მაღალის ფიჭვისა და ნაძვის ტყეზედ, მაშინ ტყე თითონ მიიზიდავს მას და მინდვრებზე აღარ გაუშვებს.

ხსენებული ფაქტები, კიდევ ვამბობთ, მეცნიერებით არის შექმნილი და მათი უარ-ყოფა შეუძლებელია. ამ ფაქტებიდამა სჩანს, როგორ თვალის ჩინსავით უნდა ვუფთხილდებოდეთ ტყეებს, რადგანაც ჯერჯერობით მათ მეტი მშველელი არავინ გვეყოლება, სხვათა შორის, იმ ბუნების უეცარ მოვლენათა ასაცილებლად, რომელნიც ხშირად ერთს წუთში მთელის წლის ნაამაგდარს ფუჭად აქცევს ხოლმე.

ხვალე მოვილაპარაკებთ იმაზედ, თუ რა ზომას იღებს თითონ მთავრობა და როგორის თვალით უცქერის ისიც კი ესე დაუზოგველად აოხრებას ჩვე-ჩვენის საუკეთესო სიმდიდრისას.

## შინაური ქრონიკა

Დღეს, 4-ს ოქტომბერს, დილის ათს საათზედ, გზათა მინისტრისა და მთავარ-მმართებლის ნება-დართვით გუბერნიის მარშალმა წარუდგინა დეპუტაცია გზათა მინისტრს რკინის გზის სტანციაში, სადაც მინისტრია ჩამომხტარი. Დეპუტაციას შეადგენდენ, გარდა გუბერნიის მარშლისა, ღენ. ლეიტენანტი თ. ნიკ. ზურაბის-ძე ჭავჭავაძე (Დაღესტანის მმართველი), ღენერალ-ლეიტენანტი თ. Ივ. გივის-ძე ამილახვარი, ღენ.-ლეიტ. ალექს. Დიმიტრ.-ძე საგინოვი, ფლიგელ-ადიუტანტი თ. Ივ. კონსტ.-ძე Ორბელიანი, Დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკები: თ. Იასე ადამის-ძე ანდრონიკაშვილი, თ. ნიკ. Დიმიტრის-ძე ჭავჭავაძე, თ. Იასე ნოშრევანის-ძე ჭავჭავაძე, თ. Ილია გრიგოლის-ძე ჭავჭავაძე და მაზრის უფროსები Თელავისა და Თბილისისა თთ. ნიკოლ. და ერასტი ზაალის-ძენი ჩოლოყაშვილები.

გუბერნიის მარშალმა წარუდგინა წევრნი დეპუტაციისა და მოახსენა, რომ Თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობა უმორჩილესად სთხოვს მინისტრსა იშუამდგომლოს მათს Იმპერატორებითის დიდებულებასთან, რათა ქალაქი Თბილისი შეერთდეს კახეთთან რკინის გზით და თუ მინისტრი თანაგრძნობით მიიღებს ამ თხოვნას, თავად-აზნაურობა გუბერნიისა წარუდგენს ვრცელს წერილს ამ საგანზედ.

შემდეგ ამისა თ. ნიკ. ზურაბის-ძე ჭავჭავაძემ აუწერა მინისტრს კახეთის უწინდელი და ეხლანდელი მდგომარეობა და, სხვათა შორის, შემდეგი მშვენიერი სიტყვები დაუმატა: «კახეთი ძველადაც უბედური ყოფილა და ახლაც ყოველს კეთილს დაწყობილებას მმართებლობისას მოკლებულია. (მე მოვახსენებთ ეკონომიურის მდგომარეობის შესახებ). ეხლაც ფოთი-ბაქოს გზამ შუა გაჰყო მთელი ამიერ კავკასია, მაგრამ ეს გზაც კახეთს ასცდა. ალბად კახეთსაც ის ამბავი მოუვიდა, რაც მამისაგან საუკეთესო შვილს მოუვა ხოლმე,—მამა საუკეთესო შვილზედ იმდენს არა ზრუნავს, რადგან იმედოვნებს თავის თავს თითონ გაიტანსო. Დღესაც კახეთი მოაკლდა ერთს სიკეთეს: თქვენმა მაღალ-აღმატებულებამ თავის საკუთარის თვალით ვერ ინახულა ეს უმშვენიერესი და უმდიდრესი ქვეყანა არამცთუ ამიერ კავკასიაში, არამედ მთელს იმპერიაში. რასაკვირველია, ეს იმიტომ მოხდა, რომ სახელმწიფო საქმეების გამო ვერ მოიცალეთ,—ესეც უბედურებად უნდა ჩაეთვალოს კახეთს».

გზათა მინისტრმა უპასუხა დეპუტაციას შემდეგი: «მე არ შემიძლიან ნამდვილად დაგაიმედოთ, რომ თქვენი თხოვნა შესრულდება, ამას კი გეტყვით, რომ მე [illegible] გრძნობ თქვენს [illegible] მთავრობაც დარწმუნებულია, რომ კახეთის შემაერთებელი რკინის გზა საჭიროა; მაგრამ ჯერ მთავრობისაგან უსაჭიროესად ცნობილია ნოვოროსიისკისა და პეტროვსკის რკინის გზები, რომელთ დასახედავათაც, სხვათა შორის, მე აქ მოვსულვარ. ჯერ ღონის-ძიება სახელმწიფო ხაზინისა ამ გზებს უნდა მოხმარდეს და მასუკან, იქნება ხუთ-ექვსს წელიწადს შემდეგ, ჯერი კახეთის გზასაც ერგოს. მე ძალიან მოხარული ვიქნები, თუ შევცდები და ეს ამბავი ხუთ-ექვსს წელიწადზედ უფრო ადრე მოხდება. ჩემის აზრით, კარგი იქნება—თქვენ თქვენს თხოვნას დაუმატოთ, რომ კახეთიდამ მხოლოდ შტო გავიდეს უმთავრეს რკინის გზამდე და თუ ამ თხოვნას ზედ დაერთვის ისიც, რომ ქალაქები და სოფლები—თვითონ საზოგადოება რაიმე შემწეობით შეუმსუბუქებს გზის გასაყვან ხარჯს, მაგალითებრ, მიწებს დაუთმობს, მასალას—ქვას, ქვიშას შეაწევს,—მაშინ გზათა სამინისტრო ვალდებული იქნება ამ თქვენს თხოვნას პატივი სცეს და შეძლებისამებრ, მალე აასრულოს».

მასუკან მინისტრმა მიმართა სიტყვა თ. ნ. ჭავჭავაძეს და უთხრა: «ამ ქამად კახეთი ვერ ვინახულე იმიტომ, რომ იგი დიდი ხანია თავის სიკეთით და სიმდიდრით ცნობილი და გათქმულია მთელს რუსეთში. ჩვენ იგი აღწერილობითაც ვიცით და იმ გამოკვლევითაც, რომელიც ამ საგანზედ ჩვენს არხივებშია».

შემდეგ ამისა გუბერნიის მარშალმა დაუმატა თხოვნა შესახებ საქონლის ზიდვის ტარიფის შემცირებისა რკინის გზებზედ და მინისტრმა ისურვა, რომ ეს საგანიც დაწვრილებით

---

— სტუმარი ღვთისაა, რაცა მაქვს, ისაც Ღმერთს მოუცია... აი სახლი და მე კი თქვენი სტუმარი...

ამის შემდეგ მოხუცი მიუბრუნდა იქ მყოფს უმცროსებს და დასჭყივლა:

— აბა, ბიჭებო!..

უმცროსებმა სტუმრები შეიყვანეს სასტუმროში, შემოსხნეს იარაღი, ქამრები, გაუსხნეს ახალუხისა და ჩოხის ღილები, რბილად დაუგეს ტახტებზედ და სულთი და მურთუზა ზედ დასხეს.

მასპინძელთაგანი მარტო ჯან-ჩორ მოუჯდა გვერდით, დანარჩენები მოშორებით და მოწიწებით ჩამომწკრივდენ. აქ ყველა უმცროსი მორჩილი იყო, ყველა უფროსს მასპინძელს პირსა და თვალში შესცქეროდა, რომ დალაპარაკებამდის გაეგო და აესრულებინა, რაც უფროსს, ან სტუმარს ესიამოვნებოდა, ნებავდა.

ციციას მოეხვიენ დედა-კაცები და თუმცა ზრუნვით თავს არ აწყენდენ, სიყვარულიანად კი ექცეოდენ. ვაიმართა ჩვეულებრივი განუწყვეტელი ლხინი და სადილი მხოლოდ ვახშმით შეიცვალა, სიმღერა—ცეკვით და თამაშობით.

მეორე დღეს დილით, როდესაც ჯან-ჩორ სტუმრებთან შემოვიდა, ჩვეულებრივის მისალმების და მოკითხვის შემდეგ, სულთიმ უამბო თავიანთი თავ-გადასავალი და გამოუცხადა, რომ ციცია მისი დობილია და მოიტაცეს მამისგან, რათა საყვარელს კაცთან აქორწინონ.

— ეხლა მურთუზა მიდის იმის მოსაყვანად—, დაასრულა სულთიმ,— რას გვირჩევ?

მოხუცი რაოდენსამე ხანს კაჩუმებული იყო და თავ-ჩაკიდებული ღრმა ფიქრს წაეღო. თუმცა სულთი ცდილობდა თავისგან ციციას სიყვარული მასპინძლისთვის დაემალა, მაგრამ მოხუცის გამჭრიახე თვალისთვის ჭეშმარიტება ფარული არ დარჩა.

ის მაშინვე მიხვდა, რომ სულთის ციცია უყვარდა, მაგრამ ჩვეულებრივის რაინდულის შეხედულობისთვის თავისი გრძნობა შეეწირა.

კარგა ხანმა ლაპარაკში და რჩევაში გაიარა; ჯან-ჩორას არაფრით არ შეუმჩნევინებია, რომ სულთის გულის მოძრაობას მიუხვდა.

ბოლოს მოვიდა დრო და მურთუზას შეკაზმული ცხენი მასპინძლის «უმცროსებმა» მოუყვანეს.

ზლაენის კარებთან რამდენიმე შეიარაღებული ყმაწვილი ბიჭი იდგა და თავიანთ შეკაზმული ცხენების «სადევეები» უნაგირის ტახტებზედ შეეყარათ. ესენი ემზადებოდენ სტუმარი თავიანთ მაზრას მშვიდობიანად გაეცილებინათ, რადგანაც სტუმრის ყოველ შემთხვევის პასუხის მგებელი საზოგადოდ მთის ჩვეულებით მასპინძელი არის.

Დაჩვეული ცხენები, ყურებ-დაცქვეტილნი, მხიარულად იდგნენ, თითქოს სასიამოვნო მგზავრობას მოელოდენ და თითქო დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათი პატრონები მათს სახელს არ შეარცხვენდენ.

მურთუზა შეჯდა ცხენზედ, უმცროსმა გამოტანილი თოფი მიაწოდა, რომელიც სტუმარმა საჩქაროდ გადიგდო მხარზედ, მოსწია ალვირს და ცხენიც შეიკრა, შეიკუმშა და ყოველი ძარღვი სხეულზედ აშკარად დაეტყო. Თვალები გაუბრწყინდა, ცხვირის ნესტოები გაუგანიერდა და გათარაშებას მოწადინებული მთლად აქრქოლდა. მათრახის გატყლაშუნებაზედ ცხენი ყალხზედ შედგა, გადახტა, შეჰკრა რამდენიმე კამარა და ისარსავით გაქანდა.

Იქ მყოფებს ეტყობოდათ,—მურთუზასგან ცხენის ხმარება მოეწონათ და სიამოვნების ნიშნად, რამდენჯერმე დასჭყივლეს. ვინც გასაცილებლად მომზადებულნი იყვნენ, ისინიც ამხედრდენ და გამოეკიდენ სტუმარს.

ცხენებს შესახურებლად ყველამ თამაშობა დააწყებინა და იმაზედ უსიამოვნესს კაცის თვალი ვერას ნახავდა, როგორც ამ სიცოცხლით და თავ-განწირულის სიმამაცით სავსე დროს გატარებას. მხედრები, წელში გამართულნი, თითქოს ცხენებს მისწებებოდენ და პატრონის პირუტყვის ყოველ მოძრაობაზედ გრაციით სავსე სინარნარით ირხეოდენ. ცხენები ხან გაქანდებოდენ, ხან ერთბაშად შესდგებოდენ, ხან სწრაფად შემოტრიალდებოდენ და პატრონები კი

მოხსენებული იყოს თხოვნაში; და რადგანაც ეს საგანი მრავალს გარემოებაზედ არის დამოკიდებული, თუ ის გარემოებანი ნებას მისცემენ, შესაძლებელია სამინისტრომ ეს თხოვნაც საყურადღებოდ მიიღოს.

შემდეგ, ამისა დეპუტაციამ მადლობა მოახსენა მინისტრს თანაგრძნობისათვის და მინისტრი ყოველს წევრს დეპუტაციისას სათითაოდ გამოეთხოვა.

ოსებისკენ ძალიან კაი ამინდი დასდგომია ყანებს. ამისთანა უხვი მოსავალი რამდენიმე წელიწადია აღარ გვახსოვს.

ოდესის ქართველი სტუდენტები გვთხოვენ მადლობა გამოვუცხადოთ იმ პირთ, რომელთაც ივლისში ქ. სიღნაღში გამართეს წარმოდგენა მათ სასარგებლოდ და შვიდი თუმანი გაჰგზავნეს ღარიბ სტუდენტებისათვის. უმთავრესად მადლობენ: მარ. მელიქიშვილისას, პელაგია სულხანოვისას და ნინო ანდრონიკაშვილის ასულს, ს. ჭიტაიშვილს, ზ. ნაცვლიშვილს, ხელაშვილს და სხვ.

3-ს ოქტომბერს ტფილისში მოვიდა სახელმწიფო ქონებათა მინისტრი ოსტროვსკი; თან მოჰყვა თავის ძმა, გამოჩენილი რუსის დრამატურგი, ა. ნ. ოსტროვსკი. 6-ს ოქტომბერს მინისტრი ყარაიას წავა იქაური არხის გასასინჯავად და მასუკან დაათვალიერებს ჰუჩენზახის მინის და ყველის ზავოდს. (კავკ.).

იმავე გაზეთს შეუტყვია, რომ მიშჩენკოს საქმის თაობაზედ პროკურორს ბ. ტერ-სტეფანოვს უკმაყოფილება გამოუცხადებია და უმთავრესს სამხედრო სასამართლოში პროტესტი შეუტანია.

## რუსეთი

— გაზ. «რუსკი კურიერს» ატყობინებენ სარწმუნო წყაროებიდამ, რომ სახელმწიფო რჩევა ამ მომავალს ოქტომბერში განიხილავს საქმეს უნივერსიტეტის ახალი წესდების შესახებ.

— სახელმწიფო რჩევის გარდაწყვეტილობით, რომელიც უმაღლესად დამტკიცებულია ამ წლის 13-ს მაისს, მომავალს **1884** წელში ქალაქების, მცირე ქალაქების და დაბების უძრავ ქონებათ უნდა გარდახდეს **6,038,700** მანეთი—**1,915,950** მანეთით წრევანდელზე მომეტებული.

— გზათა მინისტრს საჭიროდ დაუნახავს რკინის გზების ახალი წესებისთვის, სხვათა შორის, შემდეგი დამატებაც: რკინის გზებზე მოსამსახურენი უთუოთ რუსეთის ქვეშევრდომნი უნდა იყვნენ და რუსული ენაც კარგათ იცოდნენ; ის უცხო ქვეყნების ქვეშევრდომნი, რომელნიც რკინის გზებზე სამსახურში არიან, ახლავე არ დაითხოვებიან სამსახურიდგან, მაგრამ გზათა მინისტრს შეუძლიან უჩვენოს რკინის გზების საზოგადოებათა გამგეობათ—რომელს ადგილებზე უნდა გაამწესონ დაუყოვნებლივ რუსის ქვეშევრდომნი.

— მკითხველებს ეხსომებათ ჩვენის გაზეთიდგან, რომ რუსეთშიაც მიაქციეს ყურადღება მცირე-წლოვანს მუშებს, რომელნიც ფაბრიკებში და ქარხანებში იმყოფებიან, და კანონს ადგენენ, რომლის ძალითაც ყველა მცირე-წლოვან მუშებს უთუოდ უნდა ასწავლონ წიგნი. ამ საქმის შესახებ გაზეთებში იწერებიან, რომ ფინანსთ სამინისტროს უკვე გამოუანგარიშებია, რა დაიხარჯება ამ მუშებისთვის სკოლების გახსნაზედ. ამ გამოანგარიშებით თითო სკოლის შენახვა—სახლით, შეშით, სანთლით და სხვა ხარჯით მოუნდება წელიწადში **700** მანეთი. უფრო შეძლე მშობლების შვილებმა უნდა აძლიონ სასწავლებლებს თითომ ორ-ორი მანეთი წელიწადში სწავლის გარდასახადი. ვსთქვათ, თითო სკოლას ამ გადასახადიდამ შემოუვიდა ჩვიდმე-ჩვიდმეტი თუმანი (**170** მ.), მაშინ ზემოდ მოყვანილი ხარჯიდამ თითო სკოლას **530** მანეთი-ღა დასჭირდება. ამავე სამინისტროსგან შეკრებილი ცნობებით, ფაბრიკის და ქარხანების მუშების რიცხვი მთელს იმპერიაში **800,000** კაცამდე ადის და ამათ რიცხვში **132,000**-მდე მცირე-წლოვანი იქნება. ამათთვის საჭიროა გაიხსნას **1320** თითო-კლასიანი სკოლა და მათი შენახვა დაჯდება **70,000** მანეთი. იმისათვის რომ კარგად მოეწყოს მცირე-წლოვანთა სწავლების საქმე და, რაც შეიძლება, მალე გაიხსნას სკოლების საჭირო რიცხვი, ფინანსთა მინისტრი ბუნგე შუამდგომლობს ზემო-ნათქვამი **70,000** მანეთი დაინიშნოს სახელმწიფო ხაზინიდამ.

— ცეცხლის გემების საზოგადოებას «კავკაზს და მერკურის», როგორც ამას წინადაც მოვიხსენიეთ, სუბსიდიის ვადა უთავდება და მმართებლობას განზრახვა აქვს აღარ განუახლოს მას კონტრაქტი და მომავალი წლიდამ ჯარის და ფოსტის ზღვით ტარება იჯარით მისცეს.

— ლექციები მოსკოვის უმაღლესს საქალო კურსებზე პროფესორ გერიეს ლექციები დაიწყება ამ თვის 3-ს.

## უცხოეთი

— ინგლისიდამ იწერებიან, რომ საფრანგეთის წინააღმდეგ მღელვარება, რომელიც მეფე ალფონსის შეურაცხებამ გამოიწვია, თან-და-თან წყნარდებაო.

— არც მადრიდის სტუდენტობას მიუღია გულ-გრილად მეფე ალფონსის შეურაცხება; იქიდამ იწერებიან, რომ **21** სექტემბერს, საღამოზე, სტუდენტები მისულან სამეფო სასახლესთან და მანიფესტაცია მოუხდენიათ მეფის პატივსაცემლად და მოუწადინებიათ აგრეთვე საფრანგეთის საელჩოსთან საფრანგეთის წინააღმდეგ დემონსტრაცია, მაგრამ პოლიციას ნება არ მიუცია.

— ვენიდგან იწერებიან, რომ ხორვატიის გერბების საქმე გაუთავებიათ. ვენგრიის გერბები აღარ იქნება და იმათ მაგივრად ხორვატიის გერბებს ჩამოჰკიდებენ სახელმწიფო და საზოგადო შენობებზე. ვენაში უკმაყოფილონი არიან ამის გულისთვის მინისტრ-პრეზიდენტ ტისაზედ და ამბობენ, რომ მისი ამ გვარი მოქმედება უფრო წააქეზებს ხორვატელებს და კიდევ სხვასაც ბევრს რასმე მოითხოვენო.

— როგორც სოფიიდგან მოსული ამბებიდგან სჩანს, აქაურს რუსეთის ელჩს იონინს არც ერთი ახალი ბულგარიის მინისტრისთვის არ გაუკეთებია ვიზიტი, გარდა კარაველოვისა.

---

ხან გვერდზედ გადაწვებოდენ, და წვრილ ქვიშას იტაცებდენ დედა-მიწიდგან, ხან უკან გადიზნიქებოდენ და მიწას ბეჭებსა სცემდენ.

გამოაქროლა ერთმა ბიჭმა ცხენი, კარგა მანძილზედ დაუწინაურდა სხვებსა და ჩოხიდგან ამოღებული მასრა მიწაზედ დააგდო.

იმას გამოჰყვა მეორე, რომელიც რაოდენადმე წინ წაზნექილიყო და მარცხენა ხელი ბუდიან თოფის კონდახზედ ედო. ერთბაშად, ელვასავით, სწრაფად წარმოიტრიალა თოფი, რომელიც მარჯვენა ხელის მოშველების შემდეგ ბუდიდგან ისარსავით გამოსხლტა და ჰაერში გაიკრიალა. მხედარი წელში გაიმართა, გასწორდა და შეჭყივლებით რამდენჯერმე გადაატრიალა. აშკარად ეტყობოდა, რომ ის იმ წუთებში ჰგრძნობდა სიცოცხლეს, ძალას და თავისუფლებას, ჰგრძნობდა, რომ იყო ლამაზი, მომხიბლავი, კაცის თვალის გამტაცებელი...

რა წამს იმ ადგილს მიუახლოვდა, სადაც მასრა ეგდო, ლაზათიანად, წარმოუთქმელის გრაციით, გადიხარა ცხენიდგან, უმეტესის მოხდენით, წყნარად და მოანგარიშებულად გადაიტანა თოფი, დაუპირდაპირა მასრას და თოფის გავარდნასთან ერთად ჰაერში გაიფანტა მასრის ნამსხვრევები.

მხედარი ისევ სწრაფად გაიმართა ცხენზედ, სახეზედ მედიდურობის სიამოვნება დაეტყო და თოფის ლევდში ისე გაავლო მკლავი, რომ მარცხენა ხელით ამ იარაღის ტუჩი დაეჭირა. ამოიძრო მასრა და გადაგდო და დანარჩენებს, რომელთაც ისეთის თვალით შეხედა, თითქოს ეუბნებოდა: «აბა, ახლა თქვენა სცადეთ თქვენი ბიჭობა!».

თითონ-კი გამოაბრუნა გახურებული ცხენი, წყნარად წამოვიდა ამხანაგებისკენ და თოფს წმენდა დაუწყო.

გამოხტა მეორე ცხენი, შეჰკრა რამდენიმე კამარა და ისარსავით გაქანდა მასრისკენ. ის მიდიოდა ძლიერი და ამაყი, თითქოს ჰგრძნობდა რომ მისი პატრონიც სირცხვილს არ აჭმევს და არც მოსტყუვდა.

ამათ გაჰყვა მესამე მხედარი, ამას მეოთხე და ამ გვარად გაიმართა თოფით ვარჯიშობა, რომელსაც მთის ხალხი ბავშობიდგანვე ეჩვევა და საუკეთესო «ქამანდრებათ» გამოდიან.

ამ დროს-გატარებით მასპინძლებმა მურთუზა თავის მიჯნას გააცილეს და გამოემშვიდობნენ თერგის პირს, სწორედ იმ ადგილს, სადაც ფონი იყო.

### XV

შებინდდა, როდესაც სულთიმ დარიელის კლდეებს მიაღწია და, ღმერთის ხსენების შემდეგ, შევიდა იმ ორ კლდეს შუა, სადაც გზა თითქოს ვეშაპის დაღებულს ლაშში შედის და აქეთ-იქით კლდეები თითქოს განგებ ჩამოღლესილა.

მზე ამ ადგილებში საზოგადოდ ადრე ჩადის და მურთუზა-კი ღამის ათი საათი იქნებოდა, როდესაც იქ მივიდა.

ნათელი მთვარე ღრუბლებს მოეფარებოდა, თითქოს ხალხის უსამართლობა ისე მოსწყენოდა, რომ თვალის დასვენება მოესურვა.

გაიარა რამდენიმე წუთმა და იმის ყურამდინ მიაღწია ცხენის ფეხის ხმამ, რომელიც კლდეების გამო ერთი-ორად ძლიერდებოდა.

მურთუზამ შეაყენა ცხენი, რაოდენადმე კისერი გაიძაბა, თავი წინ წახარა და ხელი ყურთან მიიტანა. ასე დარჩა რაოდენიმე ხანს; მთლად სმენად-გადაქცეულს უნდოდა შეეტყო, რომელი მხრიდგან მოისმოდა ცხენის ფეხის ხმა.

ცოტას ხანს შემდეგ ის გასწორდა და დაიძახა:

— ცხენები რუსული ნალებით არიან დაჭედილები,—ეჭვი არ უნდა, ყაზახები იქნება...

ძლივს გაათავა ეს სიტყვები, როდესაც მოისმა სიმღერა და მურთუზამ კარგად გაარჩია: «ჩიბარი, ჩიბაარი, ჩიბარი ჩიბარარი»!—ის ხმა, რომელზედაც ყაზახები ჩეჩნურს თამაშობენ ხოლმე.

ა. მოჩხუბარიძე.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ევროპაში ამ უკანასკნელს ხანებში ხშირად ხდება, რომ მუშები პირობას შეჰკვრენ ხოლმე და აღარ მუშაობენ, ვიდრემდის მექარხანეები ან ფასს არ მოუმატებენ და ან მუშაობის დროს არ შეუმცირებენ. რასაკვირველია, ამ გვარი მუშების მოქმედება მავნებელია, როგორც თვითონ იმათთვის, აგრეთვე ფაბრიკის და ქარხნების პატრონებისათვისაც. ამისათვის ეხლა ინგლისში, ქ. ნოტინგემში, კონგრესია, რომელიც, სხვათა შორის, მოილაპარაკებს იმაზედაც—თუ რა საშუალებით მოსპონ ის მიზეზები, რომელნიც იწვევენ მუშების ამ გვარს საქციელს და იმედი აქვსთ, რომ ამათი მოსპობა არ გაუძნელდება იმ პირთ, რომელთაც მუშების სასარგებლოდ ბევრი კეთილი საქმე გაუკეთებიათო. ამასთანავე კონგრესი ცდილობს იმასაც, რომ რაც შეიძლება ბევრი მუშათა წარმომადგენელი იყოს პარლამენტშიო.

— ერთი ინგლისური გაზეთის კორესპონდენტი იწერება კაიროდამ, რომ საფრანგეთმა სრულიად არ იცის ეხლანდელი ეგვიპტეს მდგომარეობაო; არ იციან, რომ ეხლა ყველა თვალსაჩინო სახელმწიფო თანამდებობანი ინგლისელების ხელში იმყოფებიანო. ყველა სამინისტრო და აგრეთვე ყველა მათს დაწესებულებათა ინგლისელები განაგებენო. ლორდს დიუფერინს აზრათა ჰქონდა ეგვიპტესგან ცალკე სამეფო შეედგინა და ეს სამეფო ინგლისის მფარველობის ქვეშ ყოფილიყოვო; ეხლა სუდანის ჯარების სარდალი, გენერალი ხიქსი, მეცადინეობს ამ აზრის შესრულებასაო. ბოლოს კორესპონდენტი ამბობს, რომ ყოველივე ამის შემდეგ, ჩვენ შეგვიძლიან უშიშრად ველოდეთ მომავალსაო. ჩვენ დავიპყრეთ და ძალიან დიდი, მოულოდნელი, რამ შემთხვევა უნდა მოხდეს, რომ ჩვენ წაგვართვას ვინმე ჩვენი უფლებაო.

— წინაზე ხმები გავრცელდა გაზეთებში, რომ ინგლისის მმართებლობას მოლაპარაკება აქვს საფრანგეთის ინჟენერ ლესეპსთან სუეზის მეორე არხის გაყვანაზედაო. ეხლა იწერებიან, რომ ეს ხმები ტყუილი გამოდგაო. მართალია, ლესეპსთან მოლაპარაკება აქვს მმართებლობას, მაგრამ ეს მოლაპარაკება უწინდელს არხს შეეხებაო.

— საფრანგეთიდგან იწერებიან, რომ 23 ოქტომბერს პარლამენტი შეიკრიბება და პირველად ბიუჯეტის საქმის განხილვას შეუდგება.

---

# განცხადებანი

Გამოვიდა და ისყიდება «Первый Шагъ» —რუსული ენის სახელ-მძღვანელო ქართულ სკოლებში სახმარებლად, შედ. აღნიაშვილისაგან; ისყიდება ცენტრალურ წიგნის სავაჭროში, ფასი 40 კაპ. (6—6)

---

სასტუმრო (გოსტინიცა)

## „იტალია“

ნიკოლაევის ქუჩაზე, ვორონცოვის ძეგლის (პამიატნიკის) მახლობლად ჩემს საკუთარს სახლში.

Ნომრები მშვენივრად მორთულია ელექტრიულის დასარეკის ზარით და მარდი მოსამსახურეებით. სასტუმროსა აქვს ბუფეტი. Ფასი ნომრებისა, საჭმელებისა კარტით და სასმელებისა ნაკლებია.

სასტუმროს პატრონი ბ. სარქისოვი.

(30—10)

---

## ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— „ |
| — — 1—80 | — — 2—50 |
| საუკეთესო 2— „ | — — 3— „ |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრავატები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი — სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქაღაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—44)

---

კერძო საქმეების ვექილი პ. მ. ალიბეგინსკი

გადავიდა სოლოლაკის ქუჩაზედ, სპანდარიანცის სახლში, № 42, სათავადო-მამულო ბანკის პირ-და-პირ. (10—4)

---

## ქართული გრამატიკა

დიმ. ივ. ყიფიანისა

ისყიდება თბილისის ცენტრალურს წიგნების მაღაზიაში, ქუთაისში ძმათ ჭილაძეებთან თითო 1 მან. 20 კაპ. ჩვეულებრივს და 1 მ. 50 კ. ველენის ქაღალდზედ. (3—3)

---

# ახალი რამ

## ცხვის წყალი

განსაკუთრებით სასარგებლოა იმათთვის, ვინც გულს იტკივებენ;

ყოველს ოთახში ავრცელებს ბალზამის სუნს ფიჭვის ტყისას.

ეს წყალი ეკუთვნის მარტო

ვარშავის ქიმიურ ლაბორატორიას.

Ფასი ფლაკონისა 1 მ. 50 კ., $^1/_2$ ფლაკონისა 1 მ., $^1/_4$ ფლაკონისა 40 კ.

Უმთავრესი დეპო ვარშავაში

С-то Ерская ул. № 12. (3—2)

---

საგლობუსო  კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდი. ერთად-ერთი საგენტო—ინგლისის მაღაზია. იქვეა აუარებელი სხვა-და-სხვა გვარის კალმები, ყოველის „ხელისათვის“—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაგრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლების საწმედად (ბორაკსი), თეთრეულისათვის, პატარა ხალხისათვის კლიონკები. ტახტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეზმენი, ზარები, ბინოკლები რულეტკები, ვატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწკვები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტყლები. საყელური, პრობკები, საპრობკეები, კრახები, ფილტრები, შჩოტკები . . თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საქიმო ქაღალდი კატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაშკი—20 კ. (100—91)

---

მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე 1883 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა — | —1 | გირ. | 5 კ. |
| აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა — | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| მეორისა — — | —1 | გ. | 2 კ. |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | | |
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | 5 კ. |
| მეორისა — | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა — | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| ჯვარის-მამის პური: | | | |
| პირველის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 5 კ. |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა — | —1 | გ. | — |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორის — | —1 | გ. | 7 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 8 კ. |

---

## რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით.
თბილისიდამ ხაშურამდის
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
11 საათზედ და 11 წამ. ღამისა.
ბაქოდგან თბილისისკენ
10 საათზედ და 23 წამ. დილისა.
ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილისა.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილისა.
ფოთიდამ დ ბათუმიდამ მომავალი, თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამისა.
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
7 საათ. და 49 წამ. დილისა.

Дозв. цензур Тифлисъ, 4 Октября 1883 г. ექ. ხელაძის სტამბა. (Типографія Е. Хеладзе.) გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.